



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე



ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე [26. IV (8.V). 1884, თელავი, - 18. VI. 1960, თბილისი], ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, ლადო ალექსი-მესხიშვილის ვაჟი.

1902–04 სწავლობდა ოდესის უნ-ტში, საიდანაც გარიცხეს სტუდენტთა რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის. 1909 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. ადვოკატობა დაიწყო თბილისში 1910. ა.-მ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

შ. ალექსი-მესხიშვილი

1918–19 იუსტიციის მინისტრის პოსტი ეკავა საქართვემოკრ. რესპ. მთავრობაში.

1921-ის შემდეგ ადვოკატურ საქმიანობას ეწეოდა, იყო საქართვე. ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

**გ. თარხნიშვილი**

---